



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 33  
28/07/2017

33-04-4-201707281759



**„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106<sup>1</sup>-ე და 106<sup>5</sup>-ე მუხლების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევამე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2017 წლის 18 აგვისტო.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2017 წლის 25 აგვისტო.

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.keda.ge](http://www.keda.ge)).

7. ამ განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.

8. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

## ც ნ ო ბ ა

### საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება: „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ა.დევამე)(მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2017 წლის 17 აგვისტოს დღის 18 საათამდე საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2017 წლის 18 აგვისტოს დღის 14:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2017 წლის 25 აგვისტო.

**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**დადგენილება №**

**2017 წლის -- მაისი  
დაბა ქედა**

**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ -ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

დამტკიცდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესი თანხმად დანართი №1-სა.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე**

**ამირან ცინცაძე**

**დანართი №1**

**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესი**

**მუხლი 1.**

1. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის (შემდგომში - „ამხანაგობა“) აღრიცხვის პროცედურები წესრიგდება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და წინამდებარე წესის შესაბამისად.

2. ამხანაგობის აღრიცხვაზე აყვანის მიზნით, ამხანაგობის თავმჯდომარე ან საამისოდ უფლებამოსილი პირი ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობას (შემდგომში - „გამგეობა“) მიმართავს განცხადებით, რომელსაც თან ერთვის:

ა) ნოტარიულად დამოწმებული ამხანაგობის წესდების ასლი ან ნოტარიულად დამოწმებული ამხანაგობის საერთო კრების ოქმის დედანი (ამხანაგობის წესდების არარსებობის შემთხვევაში);

ბ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული ამხანაგობის საერთო კრების ოქმის წარდგენის შემთხვევაში საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიმღებ ამხანაგობის წევრთა - (ბინათმესაკუთრეთა) ხელმოწერები, წევრთა სახელის, გვარისა და პირადი ნომრების მითითებით;

გ) ამხანაგობის წევრთა (ბინათმესაკუთრეთა) სრული სია სახელის, გვარის, ბინისა და ტელეფონის ნომრების მითითებით;

დ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც ადასტურებს ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ იმ მრავალბინიან მესაკუთრედ ყოფნის ფაქტს, რომელიც აირჩიეს თავმჯდომარედ;

ე) შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული მოწმობა ამხანაგობის გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის (საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის) შესახებ ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ვ) ამხანაგობის თავმჯდომარედ მოწვეული მმართველის არჩევის შემთხვევაში ამხანაგობასა და მოწვეულ მმართველს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმებული დედანი/ასლი;

ზ) ამხანაგობის თავმჯდომარედ მოწვეული მმართველის არჩევის შემთხვევაში, იმ ბინის მესაკუთრის საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომელმაც ამხანაგობის სახელით ხელშეკრულება გაუფორმა მოწვეულ მმართველს.

3. ერთ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ მრავალბინიან სახლში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ერთი ან რამდენიმე სადარბაზოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვისათვის, ამ მუხლის მეორე პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, ამხანაგობა წარადგენს გამგეობის თანხმობას.

4. მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე რამდენიმე მრავალბინიანი სახლის ყველა ბინის მესაკუთრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ერთი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვისათვის, ამ მუხლის მეორე პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, ამხანაგობა წარადგენს გამგეობის თანხმობას.

## **მუხლი 2.**

1. ამხანაგობის კრების ოქმში მითითებული უნდა იყოს:

ა) ამხანაგობის მისამართი;

ბ) ამხანაგობის სახელი;

გ) ამხანაგობის კრების გამართვის თარიღი, ადგილი, დრო;

დ) ამხანაგობის კრების თავმჯდომარის სახელი და გვარი;

ე) მრავალბინიან სახლში ბინათა საერთო რაოდენობა;

ვ) ამხანაგობის კრებაზე დამსწრე წევრთა საერთო რაოდენობა;

ზ) დღის წესრიგი;

თ) გადაწყვეტილების მიღების მომხრეთა საერთო რაოდენობა;

ი) გადაწყვეტილების მიღების მოწინააღმდეგეთა საერთო რაოდენობა;

კ) გადაწყვეტილება;

ლ) ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევის შემთხვევაში, ამხანაგობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა.

2. ამხანაგობის კრების ოქმს ადგენს და ხელს აწერს კრების თავმჯდომარე.

## **მუხლი 3.**

1. გამგეობა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, აღრიცხავს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს და გამოაქვს გადაწყვეტილება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის ან აღრიცხვაზე უარის თქმის შესახებ, რომლის საფუძველზე გამგეობა გასცემს აღრიცხვის ფურცელს.

2. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის ფურცელი უნდა შეიცავდეს შემდეგ სავალდებულო რეკვიზიტებს:

ა) აღრიცხვის ნომერს;

ბ) აღრიცხვის თარიღს;

გ) აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილების შეტანის თარიღს;

დ) ამხანაგობის დასახელებას;

ე) ამხანაგობის მისამართს.

## **მუხლი 4**

1. ამხანაგობების აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილებების შესატანად, ამხანაგობის თავმჯდომარე ან საამისოდ უფლებამოსილი პირი გამგეობას მიმართავს განცხადებით, რომელსაც თან ერთვის:

ა) ნოტარიულად დამოწმებული ამხანაგობის საერთო კრების ოქმის დედანი;

ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებულ საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიმღებ ამხანაგობის წევრთა (ბინათმესაკუთრეთა) ხელმოწერები, წევრთა სახელის, გვარისა და პირადი ნომრების მითითებით;

გ) წევრთა ცვლილების შემთხვევაში - ამხანაგობის წევრთა სია, სახელის, გვარის, ბინის და ტელეფონის ნომრების მითითებით;

დ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარის ცვლილების შემთხვევაში, წინამდებარე წესის პირველი მუხლის მეორე პუნქტის „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტები, ან საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომელიც ადასტურებს ამხანაგობის ახალი თავმჯდომარის იმ მრავალბინიან სახლში ბინის მესაკუთრედ ყოფნის ფაქტს, რომელშიც იგი თავმჯდომარედ აირჩიეს;

ე) სხვა დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს ამხანაგობის სააღრიცხვო დოკუმენტაციაში (ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ერთობლიობა, რომლის საფუძველზეც მოხდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვა და/ან აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილებების შეტანა) არსებული მონაცემების ცვლილებას.

2. გამგეობა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, განიხილავს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს და გამოაქვს გადაწყვეტილება ამხანაგობის აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილებების შეტანის ან ცვლილებების შეტანაზე უარის თქმის შესახებ.

## **მუხლი 5**

ამხანაგობის აღრიცხვაზე და აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილებების განხორციელებაზე უარის თქმის საფუძველზე წარმოდგენს:

ა) წინამდებარე წესის პირველი და მე-4 მუხლებით გათვალისწინებული დოკუმენტების გამგეობაში წარუდგენლობა, ან წარმოდგენილ დოკუმენტებში ისეთი არაზუსტი მონაცემების მითითება, რომელიც გამორიცხავს აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე ამხანაგობის აღრიცხვას ან აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილებების განხორციელებას;

ბ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

## **მუხლი 6**

ამხანაგობა აღრიცხვიდან მოიხსნება:

ა) სააღრიცხვო დოკუმენტაციაში ისეთი არაზუსტი მონაცემების მითითების შემთხვევაში, რომელიც გამორიცხავს ამხანაგობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას;

ბ) სასამართლოს მიერ ამხანაგობის იმ კრების ოქმის ბათილად ცნობის შემთხვევაში, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ამხანაგობის აღრიცხვა ან აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილებების შეტანა;

გ) სხვა ამხანაგობასთან გაერთიანების შემთხვევაში;

დ) „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ამხანაგობის ლიკვიდაციის შემთხვევაში;

ე) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## **მუხლი 7**

ამხანაგობის თავმჯდომარის არყოფნის, ან მის მიერ თავისი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, ამხანაგობას წარმოადგენს მისი ნებისმიერი წევრი, ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე.

## **მუხლი 8**

ამხანაგობის ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია, გაეცნოს ამხანაგობის სააღრიცხვო დოკუმენტაციას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ-ადმინისტრაციული სამართლებრივია აქტის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

##### ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით ახორციელებენ სააგიტაციო-განმარტებით სამუშაოებს მესაკუთრეებთან, შესაბამისი ორგანოების/საინიციატივო ჯგუფების მონაწილეობით ამზადებენ მრავალბინიანი სახლების ტექნიკური პასპორტებისა და ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას, შეიმუშავენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამებს და უზრუნველყოფენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვას. ასევე გასცემენ თანხმობას ერთ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ მრავალბინიან სახლში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ერთი ან რამდენიმე სადარბაზოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის დასაფუძნებლად და მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე რამდენიმე მრავალბინიანი სახლის ყველა ბინის მესაკუთრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ერთი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის დასაფუძნებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქედის მუნიციპალიტეტს აღნიშნული პროცედურების განსახორციელებლად ესაჭიროება შესაბამისი მარეგულირებელი ნორმების არსებობა. პროექტის მიღების მიზეზიც სწორედ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის შესახებ რეგულირების წესის არარსებობაა.

##### ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების შემოღება ქედის მუნიციპალიტეტში

##### ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ნორმატიული აქტის შესაბამისად, ხდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესების დადგენა.

დადგენილების პროექტის შედგება დადგენილების ძირითადი ნაწილისა და ერთი დანართისაგან.

დანართი №1-ის პირველი მუხლის შესაბამისად, ამხანაგობის აღრიცხვაზე აყვანისათვის ამხანაგობის თავმჯდომარე ან საამისოდ უფლებამოსილი პირმა ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობას უნდა მიმართოს განცხადებით საჭირო დოკუმენტებთან ერთად, კერძოდ: ნოტარიულად დამოწმებული ამხანაგობის წესდების ასლი ან ნოტარიულად დამოწმებული ამხანაგობის საერთო კრების ოქმის დედანი (ამხანაგობის წესდების არარსებობის შემთხვევაში); ამხანაგობის საერთო კრების ოქმის წარდგენის შემთხვევაში საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიმღებ ამხანაგობის წევრთა - (ბინათმესაკუთრეთა) ხელმოწერები, წევრთა სახელის, გვარისა და პირადი ნომრების მითითებით; ამხანაგობის წევრთა (ბინათმესაკუთრეთა) სრული სია სახელის, გვარის, ბინისა და ტელეფონის ნომრების მითითებით; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც ადასტურებს ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ იმ მრავალბინიან მესაკუთრედ ყოფნის ფაქტს, რომელიც აირჩიეს თავმჯდომარედ; შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული მოწმობა ამხანაგობის გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის (საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის) შესახებ; ამხანაგობის თავმჯდომარედ მოწვეული მმართველის არჩევის შემთხვევაში ამხანაგობასა და მოწვეულ მმართველს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმებული დედანი/ასლი; ამხანაგობის თავმჯდომარედ მოწვეული მმართველის არჩევის შემთხვევაში, იმ ბინის მესაკუთრის საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომელმაც ამხანაგობის სახელით ხელშეკრულება გაუფორმა მოწვეულ მმართველს.

ერთ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ მრავალბინიან სახლში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ერთი ან რამდენიმე სადარბაზოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვისათვის, დადგენილებით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, ამხანაგობამ უნდა წარადგენს გამგეობის თანხმობას. გამგეობის თანხმობის წარმოდგენა საჭირო ასევე, მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე რამდენიმე მრავალბინიანი სახლის ყველა ბინის მესაკუთრის

მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ერთი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვისათვის.

დანართის მე-2 მუხლით რეგულირებულია ის სამართლებრივი მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებული და მითითებული უნდა იქნას ამხანაგობის კრების ოქმის შედგენისას.

დანართის მე-3 მუხლის შესაბამისად გამგეობა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, აღრიცხავს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს და გამოაქვს გადაწყვეტილება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის ან აღრიცხვაზე უარის თქმის შესახებ, რომლის საფუძველზე გასცემს აღრიცხვის ფურცელს. ამავე მუხლშივეა მოცემული ის სავალდებულო რეკვიზიტები, რომელსაც უნდა მოიცავდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის ფურცელი.

დანართის მე-4 და მე-5 მუხლებით რეგულირებულია ამხანაგობების აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილებების შეტანასთან ან აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილებების განხორციელებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული საკითხები. რაც შეეხება მე-6 მუხლს, მითითებული სამართლებრივი ნორმა მოიცავს ამხანაგობა აღრიცხვიდან მოიხსნის მარეგულირებელ წესებს.

**ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

**ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:** ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:** ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:** ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ვ) ნორმატიული აქტის დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

ნორმატიული აქტის არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

**გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:**

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

**დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

**ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:**

ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - სულიკო ჩხიკვაზე.

**ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:**

ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო - (გამგებელი).